ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2023 წლის 5 ივნისი

დაბა ხარაგაული

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 თებერვლის №11 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი, 07/02/2023 სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.128.016492).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მეხუთე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ინ ვიტრო განაყოფიერების თანადაფინანსება წყვილისთვის წლის განმავლობაში 4000 ლარის ფარგლებში“.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-16 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეს, რომელიც ცხოვრობს მომეტებული საფრთხის ქვეშ და ექვემდებარება საცხოვრებელი ადგილიდან გაყვანას.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**